



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დავით VI

დავით VI ნ ა რ ი ნ ი (დაახლ. 1225–1293), საქართველოს მეფე 1245/1247–93, რუსუდან მეფის ძე.

დაახლ. 1230, როცა აღმ. საქართველო ხვარაზმელებს ჰქონდათ დაპყრობილი და სამეფო კარი ქუთაისში იყო გახიზნული, მცირეწლოვანი დავითი დედამ თანამოსაყდრედ დაისვა. მონღოლებთან რუსუდანის შეთანხმების შემდეგ, დაახლ. 1242–43, დედა-შვილი თბილისში დაბრუნდა.

იმავე წლებში მონღოლთა ადგილ. ხელისუფლებამ ტახტის მემკვიდრე სამეფოდ გაამზადა და დასამტკიცებლად ქართველ დიდებულ ფეოდალთა ერთი ჯგუფის თანხლებით ოქროს ურდოში ბათო-ყაენთან გაგზავნა. აქედან ქართველები ყარაყორუმში დიდ ყაენთან წარავლინეს. დ. VI მონღოლეთში რამდენიმე წელიწადს დარჩა. საქართველოში მის შესახებ არაფერი იცოდნენ.

1246 ყარაყორუმში ჩავიდა ტახტის ახ. მემკვიდრე დავით გიორგის ძე (იხ. დავით VII). ყაენმა გუიუქმა სადავო საკითხი მონღოლური სამართლის მიხედვით გადაწყვიტა და ორივე მეფედ დაამტკიცა. 1248 (1249) დ. VI და დავით VII თბილისში დაბრუნდნენ. 1259-მდე ორივე მეფე თანხმობით განაგებდა სამეფოს. 1256-იდან საქართველ. ილხანთა სახელმწიფოს შემადგენლობაში მოექცა.

მონღოლთა ბატონობის სიმძიმით შექმნილი აუტანელი გაჭირვების (იხ. მონღოლთა ბატონობა საქართველოში) გამო 1259 დაიწყო აჯანყება დ. VI-ის მეთაურობით. ყაენმა ჰულაგუმ დ. VI-ის წინააღმდეგ დიდძალი ჯარი გაგზავნა არლუნ-ნოინის სარდლობით. დ.

VI-მ ბრძოლის გაგრძელება შეუძლებლად მიიჩნია, ლაშქარი დაშალა, თვითონ დას. საქართველოში გადავიდა და ქუთაისში გამაგრდა.

არღუნმა დას. საქართველოში გადასვლა ვერ გაბედა, მაგრამ ახლა აჯანყებულ დავით VII ულუს წინააღმდეგ მოუხდა ბრძოლა (1260). ეს უკანასკნელი იძულებული გახდა 1261 დ. VI-თან გადასულიყო. 1262, როცა დავით VII მონღოლებს შეუთანხმდა და აღმ. საქართველოში დაბრუნდა, დ. VI ფაქტობრივად დას. საქართვე. (იმერეთის) მეფედ დარჩა. დას. საქართველოზე მონღოლების ბატონობა არ ვრცელდებოდა და დ. VI დამოუკიდებლად განაგებდა ქვეყანას. მისი საგარეო პოლიტიკა იქით იყო მიმართული, რომ განემტკიცებინა კავშირი ილხანების მტერ-მეტოქე ქვეყნებთან, აღედგინა და შეენარჩუნებინა საქართვე. პოლიტ. გავლენა ტრაპიზონის სამეფოში.

ამ მიზნით ჯერ 1264-65, ხოლო შემდეგ 1268 დ. VI-მ ელჩები გაგზავნა ეგვიპტის სულთანთან. მეორე მხრით, დ. VI-ს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ოქროს ურდოსთან. ამასთან, დ. VI ცდილობდა ილხანთა სამეფოში ატეხილი შინაომები თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. 1269 (1270) დ. VI-მ შეიხიზნა მონღოლი ბატონიშვილი თეგუდარი (ნიკუდარი), რ-იც ბარახაყაენთან (მავერანაჰრის, შვიდმდინარეთისა და აღმ. თურქესტანის ყაენი 1266-71) ერთად აბალაყაენის (ილხანი 1265-82) წინააღმდეგ იბრძოდა. მაგრამ როცა თეგუდარის ლაშქარმა ყაჩაღური ძარცვა-რბევა დაიწყო, დ. VI წინ აღუდგა მას აბალას სარდალ სირმონთან ერთად. 70-იან წლებში დ. VI-ს გადაუდგა რაჭის ერისთავი კახაბერ კახაბერისძე, რ-იც აბალას ეახლა და დ. VI-ის წინააღმდეგ ბრძოლაში თავისი სამსახური შესთავაზა. აბალას სარდლები ორჯერ შეიჭრნენ იმერეთში, მაგრამ დ. VI ხელში ვერ ჩაიგდეს.

მონღოლთა ბატონობის შედეგად საქართვე. ძლიერების შესუსტებას ტრაპიზონის სამეფოში ქართ. ორიენტაციის მქონე დასის განადგურება და ბიზანტ. მომხრე პოლიტ. დაჯგუფების გაძლიერება მოჰყვა. განსაკუთრებით გააქტიურდა ბიზანტ. მთავრობა ტრაპიზონის მეფის იოანე II-ის (1266-97) დროს.

1282 აპრილში დ. VI-მ გაილაშქრა ტრაპიზონის სამეფოზე. საკეისროს დიდი ნაწილი დაიპყრო, თუმცა ტრაპიზონის აღება ვერ შეძლო. 1284 ტრაპიზონის მეფის იოანე II-ის და თეოდორა, რ-იც საქართველოში იყო გათხოვილი, დ. VI-ის ჯარის დახმარებით ტრაპიზონში შეიჭრა და კეისარი გახდა. საკეისროში საქართვე. პოლიტ. გავლენა დამყარდა, მაგრამ შემდგომ ვითარება შეიცვალა და იოანე II-მ ხელისუფლება დაიბრუნა.

დ. VI-ისა და დავით VII-ის დროიდან საქართველო ფაქტობრივად დაყოფილი იყო სამ პოლიტ. ერთეულად (აღმ. საქართველო, სამცხე და დას. საქართველო).

